

ახლა, როცა გაზაფხულის მზიან დილას ვეგებებით  
არჩევნებით და შრომაში სწორუბოვარ შედეგებით,  
ახლა, როცა სიხარული არც ერთ გულში არ ეტევა  
და კოსმოსში მიჰქრის ჩვენი ოცნებები რაკეტებზე,  
ჩვენ ვაჩვენებთ მთელ სამყაროს საოცრების მაგალითი,  
ავირჩიოთ, ჩვენი არის ეს ლალი და მარგალიტი.  
ამ ცხოვრებას, ამ ქვეყანას, ერას არაჩვეულებრივს  
თქვენ განაგებთ, თქვენ უძღვებით ჩვენი ხალხის  
რჩეულები.

19

# მარტი კრეკუნის დღე



№ 5

1961

თბილისი მარტი  
ბაზოცემის XXXIX წელი  
ზუსტი 20 კაპ,

# ბიბლიოთეკა

# შინაოიპი ნიანგო



ძვირფასო ნიანგო!

წაბლანა აჭარის მაღალმთიანი სოფელია და უჩაშის სოფ. საბჭოში შედის. უჩაშა რაიონული ცენტრიდან, ე. ი. შუახევიდან, მთელი ოცი კილომეტრითაა დაშორებული, — ბოდიშს ვიხდით, ძვირფასო ნიანგო, ჩვენი სოფლის გეოგრაფიას რომ გასწავლით, მაგრამ, რა ვქნათ, იძულებული ვართ ჩვენი გულსტიკივლის ადგილსამყოფელი მოგაგონოთ, თორემ, შენ ყველაფერი ზეპირად იცი და ჩვენი სოფლის ადგილმდებარეობა როგორ დაგავიწყდებოდა.

შენ რომ გაგინხარდებო, ისეთი გამრჯე ხალხი ვართ, სიმინდიც მოგყავს, კარტოფილიც, თამბაქოც, სახლ-კარიც მშვენიერი გვაქვს, რვაასამდე კომლი ვართ, ერთის სიტყვით, ცხოვრება ჩვენთანაც დულს და გადმოდულს.

მაგრამ, წარმოიდგინე, ჩვენთანაც აღწევს ავადმყოფობა და ამიტომაც ჩვენმა კოლმეურნეობამ ორსართულიანი შენობა ააგო საავადმყოფოდ. გავიხარეთ, ვთქვით, გვეშველა, ამიერიდან ყველა ჯურის სნეულებას კუდით ქვას ვასროლინებთ-თქო, ჩვენს სიხარულს ფრთები შეასხა ჯანმრთელობის სამინისტრომ, გამოგზავნა სამი კვალიფიცირებული ექიმი ა. ხუნჯუა, დ. მეცხვარიშვილი და გ. ბეჟანიძე.

მაგრამ, ნათქვამია, «ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგებდებო», სხვა რაიონებიდან ჩამოსულმა ექიმებმა მალე დატოვეს ჩვენი სოფელი და დავრჩით ერთადერთი ფერშლის მ. აბუსელიძის ანაბარა. ახლა ისაა ჩვენი ქირურგიც, თერაპევტიც, გინეკოლოგიც, ოკულისტიც, ონკოლოგიც, სტომატოლოგიც, პედიატრიც, ლარინგოლოგიც, ერთის სიტყვით, — ყველაფეროლოგი.

ეგეც რომ არ გყავდეს, რა გვეშველებრდა, მაგრამ ბუნებამ ჩვენს მშველელად იგი მოაგვლინა, კიდევ კარგი, რომ ჩვენს იქით გზა არა აქვს, ჩვენი სოფელია.

ძვირფასო ნიანგო, გვიშუამდგომლე და ერთი ჰკითხე ჯანმრთელობის სამინისტროს, ჯერ სამედიცინო ინსტიტუტი გავხსნათ ჩვენი სოფელში ჩვენი სოფლისათვის და ჩვენი ძალებით, რათა ჩვენი საავადმყოფო ექიმებით დავაკომპლექტოთ, თუ, კეთილს ინებებს და გამოგვიგზავნის რამდენიმე ექიმს, როკლებსაც ჩვენსვეყვარებით და ჩვენი ბუნებაც.

ძვირფასო ნიანგო, აბა შენ იცი, თუ გვიშველი!

უჩაშელი

## რალა იზი რეკლამა, რასაცა ახლამს ბნელია

ავტომატების საუკუნემ ქ. ცხაკაიაში სასაუზმე ავტომატით შემოაბიჯა. მზე, ღვთის წყალობით, იმდენია აქ, რომ ცხრა-მეტვალაც რომ უწოდო, მაინც ვერ მიუზღავ დამსახურებულ

მუქაფას, მაგრამ ღამე, როგორც ყველგან, იქაც ბნელა და ცხაკაიელებმა ამიტომაც თქვეს, კარგი იქნება, თუ ჩვენს სასაუზმე ავტომატს შუქრეკლამა ექნება.

თქმა და ასრულება ერთი იყო. «ქუთვაჭრობრეკლამა», თუ რეკლამა გინდათ, მე აქ არა ვარო, და ხელშეკრულება დაუყოვნებლივ გააშანშალა, აბა ჩემი შუქი და თქვენი 10.000 მანეთიო (ძველი ფულით).

ჩამოვიდნენ სპეციალისტები მიღუნულ-მოღუნული მინებით, ჩამოაკონწილეს ასოები აბრაზე, ჩართეს დენი და აციმციმდა შუქრეკლამა, ნაირ-ნაირფრად მოციმციმე შუქი გამვლელ-გამომვლელებს ნახევრადმეგრულად ეპატოყებოდა: მობრძანდით, პატრონი, მიირთვით ღუდი, სოსისი, კვერცხი, ყველი, სქანი გოლუაფირო-ო, მაგრამ ეს დღესასწაული სულ ერთ კვირას გაგრძელდა. ერთ უმთვარო ღამეს ფა-ფუ, აღარ აენთო!

სასაუზმის დირექტორმა აბს. ლ. სირიამ კაცი აფრინა ქუთაისს, «ქუთვაჭრობრეკლამას» მიადგა სასაუზმე ავტომატის დესპანი და სპეციალისტი თხოვა. მსუბუქი მანქანით ციმციმ მოაქროლეს სპეციალისტი ცხაკაიაში. სპეციალისტმა მოხსნა რამდენიმე ასო, მიატრიალ-მოატრიალა, მერე შუბლზე აკაკივით მიიდო თითი და ჩაფიქრებით თქვა: ამ ასოებს პატრონები აკლია, ჩავალ ქუთაისში, პატრონებს გაუკეთებ და ისევ აციმციმდება თქვენი შუქრეკლამა, გიპატრონებთო.

ეს იყო 1960 წლის აგვისტოს თვეში. მას მერე ცამ ჩაყლაბა «ქუთვაჭრობრეკლამის» წარმომადგენელი თავისი საზეიმო დაპირებით თუ დედამიწამ, ვერავინ გაიგო.

«ნიანგის» რედაქციას აინტერესებს, რას იტყვიან იმ უპატრონო ასოებზე «ქუთვაჭრობრეკლამის» პატრონები.

ციცინათელა

## ძარხნის კლუბში



ნან. ა. კანდელაკისა

— შესანიშნავი ხმა ჰქონია ჩვენს თამარს!  
— რა გახაკვირია, 8 მარტს ჯილდო მიიღო, ახლა კი მთელი რაიონი მიხტემს ხმას არჩევნების დროს და, ხმა ექნება, მაშ რა?



ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა მსუბუქი ავტომანქანის გამოჩენისას თბილისელები შექუჩდებოდნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალეურებდნენ ამ «საოცრებას». ახლა, პირიქით, თუკი სადმე შემთხვევით ეტლი გამოჩნდა, გამვლელები ჩერდებიან, უფროსებს ღიმილი მოსდით, უმცროსებს გაკვირვებისაგან პირი ღია რჩებათ და თვალელები უფართოვდებოდათ. ეს იმიტომ, რომ თბილისში ახლა მანქანების რაოდენობა ზღაპრულად გაიზარდა.

ასევე ზღაპრულად გაიზარდა მანქანების მოტრფიალეთა რიცხვი.

ოო, როგორ შეუყვარდა შარბათაი იზრახელოვს მანქანა. მან ჯერ კიდევ ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის ორ ივნისს იყიდა «პობედა», ატარა ნახევარი წელი და გაყიდა, ორი კვირის შემდეგ ავტომალაზიიდან ახალ-ახალი «მოსკვიჩი» გამოიყვანა და ორი თვის შემდეგ ისევ გაყიდა. არ გასულა ათი დღეც და შარბათაიმ ისევ გამოიყვანა «მოსკვიჩი» მალაზიიდან. სამი თვის შემდეგ ესეც გაყიდა.

თითქმის ორწელიწადნახევარი იარა ფეხით შარბათაიმ, მანქანის სიყვარულმა იგი ბაქოში ჩაიყვანა და 1953 წლის 11 დეკემბერს დილით შეიძინა «პობედა», 1953 წლის 11 დეკემბერს საღამოსვე გაყიდა. მოწყინდა შარბათაის უმანქანოდ, გაქანდა მოსკოვში და 1956 წლის ოთხ მაისს უთენია «პობედა» იყიდა, რომელიც იმავე დღის ნასადილევს გაყიდა. ოთხი წელი არ ჰქონია მანქანა შარბათაის, და აი, გასული წლის 18 აგვისტოს ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა «ვოლგა» გრხ 07-20, რომელშიც მისი ბატონ-პატრონი იზრახელოვი შარბათაი იზრახელის-ძე პირველი გილდიის ვაჭარივით გაჭიმულიყო. როდის გაყიდის შარბათაი «ვოლგას», ჯერ არ არის დადგენილი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით შარბათაის შარბათივით შეერგო ამდენი ყიდვა-გაყიდვა.

ამოსი..

მანქანების ყიდვა-გაყიდვის მოყვარულები ისე მომრავლდნენ, რომ მათი აღწერა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ჯობს მათი მოღვაწეობა გრაფიკით წარმოვიდგინოთ. მაშ ასე, დავიწყოთ:

**მოგხესიანი არუთინ ოგანესის-ძე**

მანქანის მარკა და სად იყიდა	სახელმწიფო №	როდის იყიდა	როდის გაყიდა	როდის გაყიდის
«მოსკვიჩი» მალაზიაში	გმ 58-81	7/XII-50	15/I/51	—
«მოსკვიჩი» მალაზიაში	გმ 55-31	25/XII-50	18/VI-51	—
«მოსკვიჩი» მალაზიაში	გბ 08-28	26/VII-52	11/IV-53	—
«მოსკვიჩი» მალაზიაში	გბ 23-00	23/IX-53	16/XII-55	—
«ვოლგა» მალაზიაში	გრხ 16-46	21/XII-60	—	?

<sup>1</sup> შეიძლება ერთი გრაფაც მიგვემატებინა: როდის იყიდის? მაგრამ ამას უნდა მივმატოთ კიდევ ახალი გრაფა: როდის გაყიდის?—რაც უსასრულობამდე მიგვიყვანს. იპედი გვაქვს, სტატისტიკა მომავალში ზუსტ ცნობებს მოგვაწოდის და მსგავსი გრაფები გაიზრდება, ახლა კი დავასახელოთ კიდევ ერთი ავტომოყვარული:

მანქანის მარკა და სად იყიდა	სახელმწიფო №	როდის იყიდა	როდის გაყიდა	როდის გაყიდის
«მოსკვიჩი» სოფიო აკულიანისაგან	გლ 61-11	28/III-50 წ.	26/VI-51 წ.	—
«პობედა» ნიკოლოზ ფუტურიძისაგან	გმ 58-59	2/III-51 წ.	29/I-52 წ.	—
«მოსკვიჩი» მალაზიაში	გბ 04-24	7/VI-52 წ.	7/X-52 წ.	—
«პობედა» მალაზიაში	გბ 11-68	31/X-52წ.	20/III-56 წ.	—
გაზ 67. ილია ბერიძისაგან	გზ 76-22	6/IX-60 წ.	—	?

რა თქმა უნდა, ახალი მანქანა ძველს ჯობია. მაშ, რა გასაკვირია, რომ ავტომოყვარულმა ძველი გაყიდოს (თუნდაც ზედმეტ ფასებში) და ახალი იყიდოს?!

კარგი ცხოვრების გემო ლეო ფაჩუაშვილმაც იცის, ამიტომ ყიდვა-გაყიდვის მოყვარულებს გადააჭარბა და 1961 წლის 14 იანვარს ფულიც შეიტანა და ხელში სალაროს ორდერი №412 უკავია, ხოლო 1959 წლის 30 მარტს ნაყიდი «ვოლგა» პრ 08-94 ჯერაც არ გაუყიდა. საქმე განადღებული აქვს, ამას საიდუმლოდ ვამცნობთ მკითხველებს, თორემ, ყური რომ ვინმემ მოჰკრას, ვაითუ «ორვოლგაიანობაც» შემოვიდეს მოდაში და მაშინ რალა ვქნათ! ისე კი, კარგი იქნება, თუ ეს ამბავი იმათ ყურამდე მიაღწევს, ვინც ლ. ფაჩუაშვილს ეს «ოინი» მოუწყო და რომელიმე ღირსეულს მანქანა დააკლო!

**გამიგზო რიზიანი**

ნან. გ. ფირცხალავასი



— მხოლოდ თქვენ ჩააქრობთ ჩემს გულში ხანძარს!





# თ მ ვ ა ლ ე ჯ ზ ო რ ი ს ე ნ ი

(ნაწევები პოეზიადან)

## თეოფილეს უტყვი მისაიდუმლე

დაჰყვა ბევრი ნაკლი ჯორსაც,  
სიბერემდე ცეტად დარჩა,  
გზისპირ—ყველა სამჭედლოსთან  
ტყვიურივით ფრთხება ბაჩა.

შიშნაჭამი აცრემლდება,  
როგორც შველი დაჭერისას,  
პირუტყვს მაშინ ახსენდება  
ღლე პირველად დაჭედვისა;

მაინც ვაქოთ ჩვენი ჯორი,  
რა ქნას, დაჰყვა კარგი მადა,  
ქვეყნად დადის ზოგი მძორიც—  
არრა ანსოვს ჭამის გარდა.

სხვათა შორის, უნდა ითქვას,  
ბაჩას გულის შესახებაც:  
რაც შებერდა, ველარ იტანს  
უკადნიერ შეძახებას.

თეოფილემ კარგად იცის,  
ბოგირ-ხიდზე გადასვლისას,  
ბაჩა ჯორი არ დაიძვრის,  
შაქარს თუ არ გადასანსლავს.

როცა მარტოდმარტო მოდის,  
მოაზიჯებს გზაზე ფრთხილად,  
არც შეხედავს ავტომობილს,  
გვერდს აუქცევს არხეინად.

თუ თოფილა ზურგზე აზის,  
მაშინ უფრთხის ბაჩა ავტოს,  
უცოდველი, სულით ნაზი  
უფრთხილდება ალბათ პატრონს.

იცის მიჰყავს თვალი სოფლის  
და ვით ვაჭარს ყაჩაღების,  
ეშინია მთვრალი შოფრის  
შეფეთების, დაჯახების.

ფაშატ ჯორებს არსად ხვდება  
დაკოდლი ბაჩა ჯორი,  
ქვეყანაზე არ გახდება  
პატრონივით გასაჭორი.

რომ აედგას დილით ენა,  
იტყვის იგი საღამომდის,  
რამდენ სახლში გაათენა  
ბერიკაცმა, სად და როდის...

მეგუმანე ქალთა დარდის  
ჰგავს თოფილა ალაღმართალს,  
მაგრამ ქვეყნად ვინმე დადის  
მისი მსგავსი, მისი ცალი?  
იცის ჯორმა, აბა რა ჰქნას,  
უგუბია პირში წყალი!

აიკიდებს ხურჯინივით  
ბაჩა დოქებს, ჭრელე ჭინჭილებს,  
დადის სიკვდილმისჯილივით,  
რა ჰქნას, ვერსად ვერ იჩივლებს!

ახლაც დიდხანს აწანწალა  
ბერიკაცმა ჯორი მთაში,  
ორ ძირ სკაზე გადასცვალა  
ჭურჭლეული ორ კვირაში.

ბაჩა ქვიან თავდაღმართზე  
აჩა-ბაჩა მოდიოდა,  
თან მოჰქონდა თაფლით სავსე,  
ფუტკრით სავსე ორი ოდა.

საყელოში თავგარგული,  
ვით ხურჯინში ძველი ყანწი,  
გულდაცლილი, გაჭანგული,  
მოხრილიყო ბერიკაცი.

თან მოჰქონდა შვიდი კაბა,  
ჭრელი ბოხჩა-საჩუქარი,  
გუშინწინდელ დილის ამბავს  
იხსენებდა ნაჩხუბარი,

როცა გზაზე შეკვივებით,  
არაკაცურ შეგინებით,  
ვილაც ჯუჯამ მიახედა  
თეოფილე გახვითქული  
და ქოთანს მიახეთქა  
წინა დილით გაყიდული,

რა არ ჰკადრა ქონდრისკაცმა:  
— დაეთრევი თაღლითიო,  
რომ დაგჭირდეს, ქოთნის ნაცვლად  
ღამის ჭურჭელს გაჰყიდიო,

დაწრიალებ არაწმინდა,  
უსახლკარო ვაჭაროო,  
ლუკმაპურის ნაცვლად მინდა  
ალიყური გაჭამოო.

როცა წვერიც შეულანძლა  
სამტროდ კბილებალესილმა,  
მაშინ იგრძნო ჯუჯა კაცმა  
რა ყოფილა მწარე სილა...

— ნუ დამახრჩობ, ნუ გამწირავ!  
ხმა გამოსცა მაშინ ჯუჯამ,  
როგორც მჩატე გუდასტვირმა—  
ღლიაგვემუ რომ ჩაიბლუჯავ.

... დაუბეყვა მას თოფილამ  
ყბედი ყბევი და გვერდები,  
ბოლოს უთხრა კმაყოფილმა:  
— გატყობ, მყრალად დაბერდები,

მაგრამ ხალხში შენზე ბრიყვი  
სახელს როცა გაგიფუჭებს,  
მაშინ ველარც ჩემზე იტყვი  
ჰყიდოდაო ღამის ჭურჭელს!

სჯიდა იგი, როგორც ყმაწვილს  
დასჯის ბაბუ წვეროსანი.  
თურმე თვითონ ჯუჯა კაციც  
იყო ჭურჭლის ხელოსანი.

მათ გარშემო ყველა ღუმდა,  
ერთი ჩადგა დამზავებლად:  
— ეკუთვნოდა ენამურდალს,  
საიქიოს გამგზავრება!—

თქვა მან ხალხში გულახდილად,  
ჯუჯას გვერდი აუქცია  
და ბერიკაცს ძმურად, ტკბილად  
თვალისჩაკერით გაუცინა.

თურმე შურით, შფოთით ყველას  
ჯგლეფთა კაცის ნახევარი,  
სულით, ტანით ქოთნის ხელას  
ძულდა სხვისი ნახელარი.

უნდა ითქვას, სხვათა შორის,  
ჩხუბი მოხდა სისხამილას,  
იმ უკუიშოს ბაჩა ჯორის  
ტლინკიც მოხვდა რბილ ადგილას.

ოთარ ბილიძე

იონე ბოგოსლოვსკის ეკლესიის (თბილისი) მოძღვარი ბორის თედორეს-ძე ფარაფანოვი 200 მანეთად (ძველი ფულით) შეძენილ კილოგრამ სანთელს 1200 მანეთად ჰყიდის, მორწმუნეთა ძარცვით მან 275 ათას მანეთად სახლიც შეიძინა თბილისში.

# პინიატუოები

## რედაქციაში

- თქვენ რომ ლექსი დაგიწერიათ ასანთზე, მისი ფასი კაპიკია.
- ასანთი კაპიკი ღირს და ლექსს როგორ გვაძვირებდით?!


## პოლიკლინიკაში

- ეს ექიმი ყველას უხეშად ექცევა და თქვენ რატომ გეფერებთ?
- ჩემმა მეუღლემ წელან გიჟი მიწოდა და ყური მოჰკრა.

## სოფლის კინოთეატრში

- ამბაკო, რავა ერთდროულად წვიმს ეკრანზე და კლუბში?
- მოლაპარაკებულნი არიან რეჟისორი და კლუბის გამგე.


გ. კაზაროვი



3. შოროშვილი

ჯავისა და სტალინის ზოგიერთ კომმუნისტებში გამოყოფილი არ ჰყავდათ ფოსტალიონი და ქურნალ-გაზეთები შემთხვევით პირებს მიჰქონდათ ფოსტიდან.

ნა. ი. ქუჩიაშვილისა



— ფილო, ქორწილადან რომ დაბრუნდები, თუ მთვრალი არ იყო, ფოსტაშიც შეიარე გაზეთების წამოსაღებად.

საქართველოს საბჭოთაო კავშირის სახელმწიფო უწყებების განყოფილება № 154  
17/11/64

სატყუარო იწვის, სანთელი ღნება, ნაძარცვი ფულით ხელი მევესება!

## საქვესება

- ფერმის გამგე ისეთი ზეცური იყო, რომ ცხვრებს სულ ტყავს აძრობდაო.
- ლოთსა ჰკითხეს, რომელი საათიაო და - ოთხ ლიტრას „ჩეთვერი“ აკლიაო.
- მმართველის ცოლი საკუთარ ტყავში ველარ ეტეოდა და მელიისას ყიდულობდაო.
- გამოცდაზე განმეორებით გასულ სტუდენტს ლექტორმა ჰკითხა, რა ამბავიაო და — მეორედ მოსვლაო.

უ. გიკაშვილი

სოფელი მირზანი, წითელწყაროს რაიონი.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ბ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ქელოძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 2/III-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 359, უფ. 02850. ტირ. 4000

ნახ. გ. ლომიძისა

„პამარშელდის მთელი საზი პატრის ლუმუმბას კანონიერი მთავრობის მიმართ თავიდან ბოლომდე იყო კონგოელი ხალხის ინტერესებისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და წესიერების და პატიოსნების ელემენტარული ნორმებისადმი საზიზღარ დაღალტის საზი. ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა მოკვლა პამარშელდის დანაშაულებრივი მოქმედების დაგვირგვინებაა.“

(საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან პატრის ლუმუმბას მოკვლასთან დაკავშირებით)



პატრის ლუმუმბას მკვლელთა ბანდა  
პამარშელდის მეთაურობით.